სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/139

ქ. თბილისი 4 ოქტომბერი 2022წ

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯილდოს - „ნიკო ნიკოლაძის ოქროს მედლის“ შემოღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარათის, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 4 ოქტომბრის № 01-05-04/29 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შემოღებული იქნეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო „ნიკო ნიკოლაძის ოქროს მედალი“.
2. დამტკიცდეს „ნიკო ნიკოლაძის ოქროს მედლის“ მინიჭების წესი და პირობები (დანართი 1).
3. დამტკიცდეს „ნიკო ნიკოლაძის ოქროს მედლის“ აღწერილობა და ნიმუში და მოწმობის ფორმა (დანართი 2).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ნ. კუტუბიძე**